შს ტელეკომპანია „ეგრისის " ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალი რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ.სენაკი

2018 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სენაკის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი").

სენაკის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის „ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შეკუმშვის MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64 QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებითინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდების და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევს მისამართია: სენაკი, ახალგაზრდობის ხეივანი N9

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (SD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2.„ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 სენაკის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1 მგბტ/წმ 344 (სამასორმოცდაოთხი) ლარს დღგ-ს გარეშე (2.15 მგბტ/წმ - 739 დღგ-ს გარეშე).

ციფრული ინტერფეისი (HD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 8 მგბტ/წმ 2.748(ორიათასშვიდასორმოცდარვა)ლარს დღგ-ს გარეშე

3. „ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 „აქცეპტანტი" ვალდებულია წარადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2018 წლის 07 ივლისი და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე - 2019 წლის 07 ივლისამდე.

მერაბ ჩიქობავა

შპს ტელეკომპანია „ეგრისის" დირექტორი

„EGRISI"